№ 224. 8 ნოემბერი, სამშაბათი. 1866—1883 8 ნოემბერი, სამშაბათი. № 224.

# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

5 ნოემბერს.

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე მეუღლითურთ 3 ს ნოემბერს დაბრუნდა ცარსკოე სელოში სამზღვარ-გარეთიდამ.

«მმართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია ის წესი, რა წესითაც მმართებლობისგან დანიშნულ პირთ უნდა გაუკეთონ რევიზია ქალაქების საზოგადო ბანკებს.

სამხედრო მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბულგარიაში, პოდპოლკოვნიკი რედიგერი ისევ გენერალურ შტაბში ჩაირიცხა. უწინდელი ადიუტანტები ბულგარიის მთავრისა—კაპიტნი ლოგვინოვი და პოლუჩიკი მოსოლოვი თავ-თავიანთ პოლკებში დაბრუნდებიან.

გუშინ მოხდა 44 ტირაჟი პეტერბურგის საქალაქო კრედიტის საზოგადოების ობლიგაციებისა 3,400,000 მანათისა. წესდების ძალით ტირაჟში გამოსულ ბილეთებზედ ფულის აღება უნდა მომავალი წლის პირველს მარტს დაიწყოს, მაგრამ ბანკის გამგეობამ შესაძლებლად იცნო ამ ოპერაციის დაწყობა იანვრის ნახევრიდამვე იმ პირობით, რომ აღებულ ფულს წლის ანგარიშზე 5% გამოერიცხოს.

მოსკოვი. 11 ს ნოემბერს აქაურ ოლქის სასამართლოში დაიწყობა საქმე სავაჭრო ბანკში მოსამსახურე პირთა—ვლასოვისა და სხვათა, რომელთაც 150,000 მანათის შეჭმას აბრალებენ.

ოდესა. ნავიგაციის დროს ოდესაში მოტანილია პური ბარჟებით ორ მილიონ ფუთამდე; რკინის გზით ვარნიცკის ნავთ სადგურიდამ ხუთ მილიონამდე. ეს პური შარშან მოტანილზედ სამი მილიონი ფუთით ნაკლებია ცუდის მოსავლის გამო.

«როდოკონაკის» ნავოსნობის კამპანიას მიეცა ნება ნავთ-მისადგომებისა და საწყობების გამართვისა ოდესაში, სევასტოპოლში, კერჩში, ბათუმში და ანაპაში.

ბერლინი. დღეს ტახტის მემკვიდრე პრინცი ესპანიაში წავიდა.

პარიჟი. გუშინ ვიღაც კურიენი, რომელიც ანარხისტების პარტიას ეკუთვნის, შევარდა რევოლვერით ხელში მინისტრთა რჩევის ზალაში მინისტრი-პრეზიდენტის მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს ფერი სენატში იყო. კურიენი კარის-კაცთ რომ დაატუსაღეს, ასე აჩვენა,—საიდუმლო საზოგადოებამ «ლილემ» გადასწყვიტა ფერის მოკვლა და ეს საქმე მე მომანდვაო.

ლონდონი. ჩინელები ბლომად ჯარებს აგროვებენ კანტონში, რომ «შავი ფლაგები» არ შეუშვან, როდესაც ფრანცუზები იმათ ტონკინიდამ განდევნიან.

პეტერბურგი. გუშინ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა.

ლონდონი. შანხაიდამ იუწყებიან, რომ ხანკაუში 20,000 ვოლონტერს აგროვებენ იმ შემთხვევისათვის, თუ საფრანგეთსა და ჩინეთს შორის ომი მოხდა.

პარიჟი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მინისტრი ფერის მოკვლის მოწადინე კურიენი ჭკუაზედ შეშლილი კი არ არის, არამედ ფანატიკოსია და გულმოდგინედ დაიარებოდა ანარხისტების კრებებში ლილსა და რუბეში.

კონსტანტინეპოლე. უწინდელი დიდი ვეზირი საფეთ-ფაშა გარდაიცვალა.

ბელგრადი. უმთავრეს მოთავეთ აჯანყებისას ბოლევაცის მაზრაში: მღვდელს მილაიჩს, მასწავლებელს პორვულოვიჩს და ერთს გლეხს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

## მიწის-მფლობელობის საქმე.

თბილისი, 7 ნოემბერი.

კარგი ხანია, რაც ევროპიელ მმართებლობათა ყურადღება მიქცეულია მუშა-ხალხის ნივთიერ მდგომარეობაზე, რადგანაც უკვე შეიგნეს, რომ მუშა-ხალხი არის საფუძველი პოლიტიკური და სახელმწიფო წეს-წყობილებისა. ძალობრიობის ისტორიამ დაამტკიცა, რომ სახელმწიფო შენობა ვერა სდგას მკვიდრს ნიადაგზე, თუ კი ხალხი სილარიბეში იმყოფება; ამ შემთხვევაში აუცილებელია მუდმივი შფოთი, წოდებათა შორის უთანხმოება და სიმძულვარე და სახელმწიფო წეს-წყობილების დღე-ნაკლულობა. თანამედროვე ევროპაში საუკეთესო მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღება ერთიანად მიპყრობილია მუშა-ხალხი-

«დროების» ფელეტონი, 8 ნოემბერი.

## ციცია*)

(მოთხრობა)

მშვენივრად გადაჭიმულს მინდორზედ, რომელსაც გარს დაბურვილი ტყე შემორტყმოდა და ათასფერად შეხამებულიყო სურნელიანის ყვავილებით, ზედ შუა ადგილზედ დიდძალი ხალხი მოგროვილიყო სხვა-და-სხვა ფერის ტანისამოსით. დღე იყო ჩუმი, წყნარი და მოწმენდილი. იქაურობა ისე მოკაზმულიყო, როგორც პატარძალი.

ხალხი მხიარულობდა, ზოგან მღეროდენ, ზოგან ჭიანურს უკრავდენ და კაცის დამბნედავს ეშხით სავსე ქალებს ათამაშებდენ, ზოგან ყმაწვილი ბიჭები გასულიყვნენ და ნიშანში თოფს ესროდენ.

რამდენსამე ადგილს გაჩაღებულს ცეცხლზედ საარაყე ქვაბები შიგ მთელ მთელის «საკლავებით» ჩუხჩუხებდენ, ერთს ადგილას პატარა ბალღებს დაენთოთ ცეცხლი, ზედ ნედლი ღვივის ხეები დაერთოთ და სიხარულით შეჰყურებდენ მისგან ანადენს ბოლს, რომელიც ხვევით, მაგრამ ისარივით სწორედ, მაღლა, მაღლა მიდიოდა და სივრცეში გაპენტილ ბამბასავით იშლებოდა.

პატარა ბავშვები ცეცხლის გარშემო დახტოდენ, ხარხარებდენ და თავიანთ ხმას საერთო ხმაურობას უერთებდენ. დეკანოზებს*) ხალხი დაემწყალობნათ და, მოლურჯო ქვის კედელზედ მთლად თეთრს სამოსლებში გახვეულნი, გადმომსხდარიყვნენ და საერთო მხიარულებას უყურებდენ.

ერთს ადგილს ხალხი უფრო შეჯგუფულიყო, შუაში რგვლად დაეგდოთ საკმაო ადგილი და ყმაწვილი ხალხი ათასფერს ტანისამოს ჩაცმული თამაშობდა. ჭიანური, დოლი და ტაშისცემა შეადგენდა მთელს მუსიკას, რომელსაც ხან-გამო შეებით უერთდებოდა დამბაჩის სროლის ხმა და გახურებული მოთამაშის ჭყივილი.

სხვათა შორის ამ ხალხში იდგა ციციაც, რომელსაც დასცხომოდა, ლოყები გაწითლებოდა და ხან-გამოშვებით თავ-განწირვით თამაშობდა, რომ უპირატესობა სხვა გვარ-ტომობის მთიელთათვის არ დაეთმო.

ყმაწვილი ჩეჩნები გაშმაგებით უყურებდენ მოხევის ქალს, რომელსაც ხან ერთი გამოუდგებოდა სათამაშოდ, ხან მეორე, ეწეოდენ, დაუხვდებოდენ წინ და დალონებით გასცქეროდენ მსწრაფად გაბრუნებულს ქალს, რომელიც რხევით მიექანებოდა თავის მდევნელისგან.

ყოველ მოძრაობაში სიცოცხლე მოსჩანდა, ყველას გული სასიამოვნოდ სძგერდა, რადგანაც სიყმაწვილეს შეეხურებინა და ჟუჟუნას, მოქანცულს და მიბნედილს თვალებს აეძგერებინა.

ისენი ამ დროს გატარებაში იყვნენ, როდესაც ერთის მხრიდგან ბექია და იმისი მასპინძელი, რომელიც აქ ამოსულიყვნენ, მოვიდენ და თამაშს ყურება დაუწყეს.

მოხევემ გადაათვალიერა ხალხი და მაშინვე თვალი ციციას შეჰკრა; შეჰკრა და პირველში გულმა გაუბრძოლა, თითქოს რაღამაც დაჰკრა, მერე ათრთოლდა და დაჟინებით ძალზედ ქშენა დააწყებინა. ჯერ ისე დაიბნა, რომ მოაზრებაც კი ვერ მოასწრო და გახევებულმა ხელი გულზედ მიიტანა, თითქოს ამითი მისი ჩქროლა უნდა გაეჩერებინა. მაგრამ, რა გონს მოვიდა, ჰკუა მოიკრიფა, ფერ-მიხდილს ლოყებზედ სიწითლე დაეტყო და თვალებ-გაბრწყინვებულმა წინისკენ ფეხი წასდგა. შეხედა ციციას და ერთბაშად შესდგა. იმან დაინახა ქალის კმაყოფილებით სავსე სახე და ამ ამბავმა ხელ ახლად შეუცვალა ფერი.

— რაი ახარებს? გაკვირვებით წარმოსთქვა იმან და ისევ შეხედა ციციას, რომელსაც პირისახე ისევ უცინოდა.

— იცინის, მაშ ბედნიერი ყოფილა, ძალად არ წამოუყვანიათ, მწარედ წამოიძახა და ამ ფიქრებმა მუხლთ მოსჭრეს. ამ წუთებში მოხევეს მეტის მეტად მწარე ფიქრები დასტრიალებდენ, რომ თავი საჩქაროდ შეემაგრებინა. ის იწოდა, ინთებოდა და გმინვით წარმოსთქვამდა: ასე ჩქარა დამივიწყა, ასე ჩქარა გასტეხა ღვთის ფიცი.

— რაიღა მეშველება, რაიღა ვქნა? უიმედოდ ამოიკვნესა იმან და დაფანტვით გარშემო დაიწყო ცქერა, მაგრამ ცოტა სიჩუმის შემდეგ, თვალებმა მედგრად გაუელვეს და განრისხებით თითქმის ხრიალით ყელში დაუმატა: — სულით მომცემს პასუხს!

ამ სიტყვებზედ ისევ ციციას შეხედა და დაიძახა:

— ის სადღაა, რაისთვი გვერდით არა ჰყავს?... რაი მეშველების, თუ აქ იქნა?

*) იხ. «დროება» № 220.

*) მთის ქისტებში ეხლაც ისეთივე დეკანოზები არიან, როგორც მთის ქართველებში. ნიშები, დროშები და წმინდანების სახელები დღევანდლამდის ქრისტიანული აქვთ დარჩენილი; თუმცა დროშის თავებზე ჯვრები აღარა აქვთ და ან მარტო შუბს ამოუყვია წვერი, ან მერდინით არის შეხვეული.

საკენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა-და-სხვა თეორიებით კმაყოფილდებიან; ხალხის მდგომარეობას კი ამასობაში წარმატება არ ეტყობა. ეს წარმოსდგება იმისაგან, რომ ხალხის ნივთიერ მდგომარეობის საფუძვლიანად შეცვლა და სხვა საფუძვლებზე დამყარება ხალხის მომავლისა ადვილი საქმე არ არის და შეადგენს ისეთს საგანს, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი კაცობრიობის მომავალი.

ევროპის მუშა-ხალხის უკიდურესი სიღარიბე დაჰბადა უმთავრესად უმიწა-წყლობამ; უმიწა-წყლობა კი არის ლოგიკური შედეგი იმ ეკონომიური პირობებისა, რომელთაც ძველადგან-ვე გაიდგეს ფეხი ევროპაში და ორი ელემენტი დაბადეს: მძლავრი, ყოვლად-შემძლე კაპიტალიზმი და პროლეტარიატი—უსახლკარო, უბინადრო, ბოგანო ხალხი—მსხვერპლი კაპიტალიზმისა, დაიმედებული მხოლოდ თავის ძალ-ღონეზე, რომელიც, მართალი უნდა ვთქვათ, ვერ შეედრება კაპიტალიზმის ძალას.

ეკონომიურს მეცნიერებაში მრავალი პროექტი არსებობს მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად; მაგრამ მომეტებული ნაწილი ამ პროექტებისა ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა; ზოგმა განხორციელებულმა თეორიებმა კი ვერ შესცვალეს ხალხის მდგომარეობა და მათი გავლენა მხოლოდ ხალხის მცირე რიცხვს დაეტყო.

როგორცა ვთქვით მეცნიერებმა კარგი ხანია შეიგნეს, რომ...

მათი უკანასკნელი აზრის სიმართლეს ამტკიცებს თუნდაც ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა. ინგლისის ხალხი უკიდურეს სიღარიბის გამო იძულებულია გარდავსახლოს უცხო ქვეყნებში და იქ ეძიოს ბედნიერება, რომელსაც სამშობლო ქვეყანაში ვერ ეღირსა. ინგლისის მუშა-ხალხის არა-მცირე ნაწილი ვერა ჰპოებს თვით ინგლისში ცოტათი მაინც კმაყოფილი ცხოვრების სახსარს და სამუშაოს, თუმცა ინგლისის მიწა-წყალი საკმაო იქნებოდა მათ დასაკმაყოფილებლად: ამ ჟამად ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში ორმოც-და-ექვსი მილიონი (46,000,000) აკრი მიწა ეკუთვნის მხოლოდ რვა ათას (8,000) მეპატრონეს; ამათი წლიური შემოსავალი ორმოც-და-ხუთი მილიონი (45,000,000) გირვანქა სტერლინგია, ე. ი. ოთხი მილიარდ-ნახევარი მანეთი. ამ რვა ათას მეპატრონეთ მიწა აღემატება მთელს ინგლისს და უელსს ცხრა ათასი აკრით. ინგლისში მიწის მეპატრონეთ მხოლოდ ნადირობისათვის და დროს-გატარებისათვისა აქვთ მიჩენილი კარგი ძალი მიწა, რომელიც სივრცით აღემატება, მაგალითად, იმისთანა სამეფოს, როგორიც არის ბელგია. ინგლისის მიწის მეპატრონენი განცხრომაში და ნადირობაში არიან, და ინგლისის მუშა-ხალხს კი სილატაკე სჩაგრავს და სამშობლო ქვეყნიდგანა სდევნის.

რა საშუალებით უნდა განთავისუფლდეს მიწა კერძო მფლობელობისაგან; ამის მისაღწევად ზოგიერთი მეცნიერები და მათ რიცხვში გამოჩენილი ეკონომისტი ჯორჯი საჭიროდ რაცხვენ მიწის სახალხო საკუთრებად გადაქცევას, შემდეგ იმისა, როდესაც მმართებლობა კერძო მფლობელთაგან შეისყიდის.

ამ აზრს ბევრი მომხრე ჰყავს ინგლისში და მეტადრე ირლანდიაში, რომლის წარმომადგენლნი მეტად მამაცურად ცდილობენ ინგლისის მმართებლობის წინააღმდეგ თავიანთი აზრის განხორციელებისათვის.

## შინაური ქრონიკა

—— მხატვრების ამქრის უსტაბაში ზ. მაისურაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი მისი წერილი: «თხუთმეტი ათასი ხელოსანი და ორმოც-და-თხუთმეტი უსტაბაში მივჩერებივართ ჩვენს სახელოსნო გამგეობას (უპრავას), მაგრამ მთელს ჩვიდმეტ წელიწადში ჩვენთვის სასარგებლო ვერ გავსძლეთ: ვინც ავარჩიეთ ხელოსნების მოთავედ, მწერლის, ან სეკრეტრის სიტყვაზე დადის და ჩვენ უსტაბაშებს კი ყურადღების ღირსად არა სცნობს,—რუსული წიგნი და ლაპარაკი არ იცითო.

აი იმის მაგალითი, თუ ჩვენს თხოვნას რა გავლენა აქვს ხოლმე ჩვენს მოთავეზე: ნეტარ-ხსენებულ თ. გრიგოლ ორბელიანის მესანდობლად გამოგვიგზავნეს ხელოსნებს 50 თუმანი. მე ვსთხოვე ზ. ნაუმენკოს, ხელოსნების თავს, რომ იმ ფულით სახელოსნო დებულება ქართულად გვეთარგმნინებინა, რომ ჩვენც ჩვენის უფლებისა და მოვალეობისა გაგვეგო რამე. ზ. ნაუმენკომ არა ჰქნა, თქვენ ვერას ისარგებლებთ მაგ დებულებითაო და წამ-და-უწუმ კი კანონისა და დებულების უცოდინარობას გვაყვედრებს. ისეთი რა გვნახა, რომ ორი ფურცელი სახელოსნო დებულებისა ვერა გავიგებოდეს-რა, მაგრამ ის არა [illegible] — რაც გვიბძანოს [illegible] შეგვასრულებინოს დესიატნიკებივით. უსტაბაშს აღარავინ რად აგდებს, სეკრეტარია გამგე უოველისფერისა,—შარშანაც კინაღამ ერთი აღიაქოთი ასტეხეს და მთელი ისტორია შეთხზეს სრულიად უბრალოდ შესახებ განსვენებულის იაზონ თუმანიშვილის ქალაქის თავად ამორჩევისა.

ზ. ნაუმენკო დამტკიცდა თუ არა, მაშინვე ახალი კანონი შეადგინა და წარადგინა; ჯერაც პასუხი არ მიუღია. ნეტავი ვიცოდეთ, რომელ უსტაბაშს დაეკითხა ზ. ნაუმენკო ამ კანონების შეცვლის თაობაზედ, ან შეიტყო—ეს კანონები ჩვენს ხალხს უხდება, თუ არა? მაგრამ ისეთი «ნასწავლი» სეკრეტარი გვყავს, რომ იმას არავისი დაკითხვა არ ეჭირვებოდა!!

წარსულს წელიწადს რამდენიმე უსტაბაში წარადგინეს მენდლებზედ; მე, თქვენი უმორჩილესი მონაც, იმმათში გახლდით. თითო უსტაბაშს ხუთ-ხუთი მანეთი გამოგვართვა სეკრეტარმა, მე არაზის ფორმა არ ვიცი და სხვას უნდა მივცე ეს ფული დაწერაშიო. ვერ წარმოიდგენთ, რა პატივშია ზ. სეკრეტარი: კანცელარიაში ოსმალური ფესით ზის და უსტაბაშები თავს ადგანან, პატრონაა რაღა!

ახლა მივმართავ თბილისის ამქრების უსტაბაშებს, მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ყველა უსტაბაშს ისეთივე ხმა აქვს, როგორიც ხელოსნების თავსა. იმას ჩვენ ვარჩევთ და არა იგი ჩვენ. რაც ნაუმენკოსთვის ხელში ჩავგვიგდია, არც კაპანაძესა ჰქონდა იმდენი, და არც კალინკს; კარგი იქნება რევიზია ვყუოთ გამგეობის დავთრებს; ვგონებ ეს არც წინააღმდეგი

---

ამ სიტყვებზედ დაუწყო ხალხში თვალიერება და ერთბაშად სიხარულით პირისახემ გაუღიმა და წამოიძახა:

— აჰა,... აგერ ისიც!... ეხლა კი ღმერთი ჩემკენაა!

იმან დაინახა სულთი, რომელიც მარტოკა იდგა. მარტო სულთი იდგა გარუმებული, გაყუჩებული, დაღონებული და საერთო მხიარულებას რაღაცა შესაბრალის მწუხარებით უყურებდა.

იმისი გაცრეცილი სახე, ნაღვლიანი თვალები და დაფიქრებული პირისახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მისი გული რაღაცა სევდას მოეცვა, შეეპყრო და დამონებული, მკვნესავი საერთო სურათისგან მოეშორებინა.

— რაისთვი დაღონებულა?—გაურბინა თავში და ყურება დაუწყო.

ერთბაშად სულთიმ გაიღიმა, გაწითლდა და სიხარულის ცეცხლი ვამოუკრთა თვალებიდგან, რომელნიც ერთ მხარეს მისჩერებოდენ. ბექიამაც გაიხედა იმ მხარეს და წარბები შეჭმუხნა, პირისახე სიანჩხლემ დაუმახინჯა. მოხევემ დაინახა ციცია, რომელიც ღიმილით მიდიოდა სულთისკენ, უცინოდა, რაღაცას ეუბნებოდა, რომელიც ბექიას ყურს სიშორის გამო ვერა სწვდებოდა და მათი აზრის შეტყობის სურვილი-კი გულმუცელს უკუწავდა. ის ეჭვისგან ანთებულის თვალებით ჩააცეცდა ციციას, რომელიც ჩიჩენთან მივიდა, დაადო მხარზედ ხელი და თანაგრძნობით უთხრა:

— ძმავ, რაისთვი მოგიწყენია?..

— რაი ვიცი? ბედშავად უპასუხა ჩიჩენმა.

— მე მინდა, რო გამხიარულდე, ილხინო, ითამაშო...

— შგუნებოდ რასმე ვარ.

— ჩემთან უნდა ითამაშო,—გადაწყვეტით, თითქოს ბძანებით, უთხრა ციციამ და სულთიმაც მორჩილად შეხედა, შეხედა ისე, თითქოს ეუბნებოდა:

— მიბძანე, რაიც გინდა, განა უარი შემიძლიან.

ამ წუთებში ბექიამ მოთმინება სრულიად დაჰკარგა, მით უფრო რომ იმათ ლაპარაკის შინაარსი ვერ გაეგო და ეინ იცის, რა არ წარმოსდგენოდა. მოხევემ გაიკლო ხანჯალს ხელი და სულთისკენ გასწია, რომელიც ზურგ-შემოქცეული იდგა და მიმავალს მოხევეს ვერა ხედავდა.

ბექია მიუახლოვდა, გაიძრო ხანჯალი და შემდგარმა დაუძახა:

— ქურდობა კარგი გცოდნია, ღვთის მადლმა, და ახლა ვაჟკაცობა გვიჩვენე.

სულთი ერთბაშად გამობრუნდა და, რა ხანჯალ-მოწვდილი კაცი დაინახა, თითონაც სწრაფად გაიძრო ხანჯალი და ანთებულის თვალებით ერთმანერთი აწონეს.

ციცია, რომელიც ბექიას დანახვამ გაანცვიფრა და განრისხებამ-კი შეაშინა, იმავ ადგილს გაქვავებულსავით იდგა, სული გაეკმინდა და ველარ განძრეულიყო.

წუთი კიდევ და მოწინააღმდეგები ერთმანერთისკენ გაექანენ, მიახლოვდენ და ის იყო ხანჯლები წასაძგერებლად მიიტანეს, როდესაც მოისმა ქალის წივილი და მებრძოლთ შუა თავშალი ჩავარდა. მოწინააღმდეგენი ერთბაშად შესდგნენ და იმ გვარად გახევებულნი დარჩნენ, როგორ მდგომარეობაშიაც ციციას თავშალმა მოასწრო.

სულთი და ბექია გაშმაგებით უყურებდენ ერთმანერთს, მათი ხანჯლის წვერები თითქმის ერთურთს სწვდებოდენ, მაგრამ წუთს უკან ჩუმად ჩამოუშვეს იარაღი, წყნარად ჩააგეს ქარქაშებში და წყნარადვე გაბრუნდენ აქეთ-იქით.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ახლო მყოფმა ხალხმა მიშველებაც ვერ მოასწრო და უბედურება აუცილებელი იყო, თუ ციციას თავშალს დროზედ არ მოესწრო. მაგრამ რაკი პირველმა წუთმა გაიარა, მოცვივდენ მასპინძლები, თავთავიანთ სტუმარს იმეპატრონენ, ამშვიდებდენ მათ და თუ საჭიროება მოითხოვდა იმათთვის თავსაც დასდებდენ.

— ბექიავ, არ გრცხვენის?—ერთბაშად მოხევეს მოესმა ციციას ხმა.

— ძიდეც მაყვედრი? მწარედ წარმოსთქვა მოხევემ.

— ჰაი, ჰაი რო გაყვედრი!.. ძანაღამ ძმა მომიკალ, სულთი ჩემი ძმად ნაფიცია.

სულთი იქავე ახლოს იდგა და ეს სიტყვები გაიგონა და სწორედ იმ დროს, როდესაც ბექიამ წამოიძახა: «ძმად ნაფიცი!» იმან გაშტერებით წარმოსთქვა: «ბექიაი!» და გაფითრდა.

ჩიჩენმა მოიხედა, დაიკრიფა გულხელი და პირ-და-პირ მივიდა ბექიასთან:

— ბექიაუ!—უთხრა იმან,—შენი საცოლე მოვიტაცე, მოვიტაცე იმად, რომ მომწონდა... მეგონა, მაგასაც მოვეწონებოდი და მაშინ, ღვთის მადლმა, დუნია რომ ჩემი მტერი შექნილიყო, მაგას ვერ წამართმევდენ... მაგრამ იღბალი შენი ყოფილა, შენ «უყორხარ», ღმერთს შენთვის მოუცია და ჩვენ-კი და-ძმობა გვაქვს ნათქვამი... ეხლა იხმარე იარაღი, თუ გინდა, სისხლს ვერვინ მოგთხოვს... დალვარე ძმის სისხლი, თუ შეგიძლიან.

იყოს, თუნდ წელიწადში ორჯერაც მოხდეს ხოლმე.

ვთხოვ პატივცემულ «კავკაზს» და «მშაკს» გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი».

≈≈ სოფ. ორტევ-ადგანა (გორის მაზრა) გვწერენ: ისე სასტიკად და თავისუფლად არსად ეპყრობიან მამასახლისები ხალხს, როგორც ჩვენ, საბრალო ოსის გლეხებს!.. ვსთქვათ, კომლზე ოთხ მანათ ნახევარია გაწერილი, მამასახლისი მოუმატებს კომლზე ათ შაურს და სხ. ამას წინად სოფელ ორტევში ერთ მამასახლისს შეეჭამა ორმოც-სამოც თუმნამდე. მაგრამ არც ეხლანდელი მამასახლისი აშავებს რასმე; აი მაგალითი: სოფელ ორტევის ეკლესიას ყავრული აღარა ჰქონდა და წვიმის დროს სწვეთდა ხოლმე. ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მ. ლ. ფ—შვილმა სთხოვა «შემწეობა «კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას» მაგრამ მან უარი უთხრა, რადგანაც ფული არა ჰქონდა. გაიგო თუ არა მამასახლისმა ქუმსი შვილმა ესა, მაშინვე თავის ნებით გაავრცელა ხმა, რომ სოფელმა უნდა შეჰკრიბოს ათი თუმანი, რომ ეკლესია დავხუროთო, მაგრამ, მისდა სამარცხვინოდ, სოფელმა შეუტყო განზრახვა და უარი უთხრა. შემდეგ ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა თ. გ. ჩოჩიშვილმა თავის ხარჯით დახურა ეკლესია და, წარმოიდგინეთ, მარტო სამი თუმანი დაუჯდა ის, რაც მამასახლისის გამოანგარიშებით ათი თუმანი უნდა დაჯდარიყო.

≈≈ დიდს სამდურავსა გვწერენ სურამიდამ იქაურ სომხის მღვდელზე. ერთხელაც მთელმა სურამმა საჩივარი შეუდგინა, უჩივლეს კიდეც, სხვა მღვდელიც მოითხოვეს, მაგრამ პირველმა მაინც გაულენიანი ხალხი გადიბირა და ახლად გამოთხოვილი მღვდელი აქედამ გადაასუყაინაო.

ეს მღვდელი თურმე ორას-სამას მანეთზე ნაკლებ არა სწერს ჯვარს იმ პირებს, რომლებისაც ჯვარი სჭირს,—მოუგონებს თურმე—თქვენ ნათესავები ხართ და თუ ნება-ითვა ფულით ემოამინიდამ არ გამოითხოვეთ, ჯვარს ვერ დაგწერთო. ამას გარდა სურამის სომხების სკოლაში ვერც ერთი მასწავლებელი ვერა დგება თურმე, რადგან ეს «მოძღვარი» ვალადათ სდებს, რომ მის შვილებს ცალკე, უფასოდ, ასწავლოს.

≈≈ უკანასკნელ ომის დროს კავკასიის საერო ფულიდამ დაიხარჯა 104,250 მანათი გუმბრის გზის შესაკეთებლად. კავკასიის საერო უწყებას ეხლა ეს ფული გამოუთხოვნია; სამხედრო მინისტრს შეუტანია სახელმწიფო რჩევაში თვისი აზრი და ეს თხოვნა საფუძვლიანად უცვნია.

≈≈ მკითხველებმა იციან, რომ ბათუმის ახლო რუსეთის მთავრობამ დიდი სამხედრო შენობები ააგო და ეს ამბავი ოსმალეთს სრულებით არ მოსწონს სტამბულის გაზეთის სიტყვით, ოსმალეთის მთავრობას შეუდგენია წერილი იმის თაობაზედ, რომ ეს სამხედრო განმზადებულება ბერლინის ტრაქტატს არ ეთანხმებაო.

≈≈ რაკი კავკასიაზედ ტრანზიტი მოისპო, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ეს საქმე სხვა მიმართულებას მიიღებდა. ეხლა გაზეთები გვაცნობებენ: ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრს უბძანებია ტრაპიზონისა და ერზერუმის გუბერნატორებისათვის—ამ ორს ქალაქს შუა მოსვე კარგად შეინახეთ, ტრანზიტისათვის დაგვჭირდება, რაკი ბათუმზედ ევროპის საქონელი აღარ მიდისო.

≈≈ კიდევ ტრანზიტზედა. სხვათა შორის, ერთი მიზეზი ტრანზიტის მოსპობისა კონტრაბანდის შემცირების იმედი იყო, მაგრამ ეხლა რუსულ გაზეთებში სწერენ: რაკი საქონელი მცირე აზიაზედ წავა, გზა ჩვენის სამზღვრიდამ ზოგან სულ 7—20 ვერსის მოშორებით არ იქნება. რადგან ამ გარემოებას შეუძლიან ძალიან გაადვილოს კონტრაბანდის შემოტანა, ამის გამო ოსმალეთის სამზღვართან ჩასაყენებლად აიასი მესამზღვრე ყარაული კიდევ დაუნიშნავთ.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

**სიღნაღ. მაზრა, 3 ნოემბერს.** «დროების» ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი სასოფლო გზა-ტკეცილების საჭიროებაზე, მაგრამ, როგორცა სჩანს, მას არავითარი გავლენა არა ჰქონია ზოგიერთა მაზრის უფროსებზედ. საერთო დიდი გზატკეცილი ვერ მოუტანს და ვერც მოაქვს ის სარგებლობა, რაც შეუძლიან მოუტანოს, თუ იგი იქნება შეერთებული პატარ-პატარა სასოფლო გზა-ტკეცილებით. სწორედ ამაზედ, როგორც ზევითაც ვსთქვით, ხშირად იყო მოხსენებული «დროებაში» და ეხლაც მსურს მკითხველს მოველაპარაკო არა საზოგადოდ, არამედ სიღნაღის მაზრის სოფლების პატარ-პატარა სასოფლო გზების საჭიროებაზე. თითქმის სიღნაღის მაზრის ნახევარი სოფლები გორაკებზედ არის გაშენებული და საცოდავმა პირუტყვმა აღმართ-დაღმართებზედ უნდა ჰზიდოს მინდვრიდამ პატრონის წლიური სარჩო. ძლიერ ხშირად ვყოფილვარ მოწმად უშველებელი ღრიალისა და საქონლის თავ-პირში ცემისა დატვირთული ურმების ატანაში აღმართებზე თვით მშვენიერ დარების დროსაც და ავდრებში ხომ, რასაკვირველია, უარესობა იქნება. ეს არის მიზეზი, რომ მრავალი სოფლელი შორდება მამა-პაპის ბინადრობას, შორდება მშვენიერ, ჯანის სიმთელის მიმცემს ბუნებას და ჭაობიანს, ციებ-ცხელებიან მინდვრებზედ სახლდება. ამიტომაც არის, რომ ეხლა სიღნაღის მაზრის ხალხში მრავალს შეჰხვდებით ციებ-ცხელებისგან გათხელპირებულს.

სიღნაღის მაზრის უფროსმა ეს ყველაფერი კარგად იცის და ერთი სიტყვაა საკმარი, რომ თავის მაზრას მოაცილოს ეს თავიდამ. ახლა თითქმის თვით ხალხმა იგრძნო სასოფლო გზა-ტკეცილების საჭიროება და, როგორც შევიტყე, ს. ქარდანახის მცხოვრებლები უკვე შესდგომიან ამ საქმეს,—ჰყოლიათ ინჟინერი, დაუპლანავთ და მუშაობაც დაუწყვიათ, მაგრამ უდროვოდ მიუსწრია სახემწიფო ბეგარას. თუმცა ახლა მუშაობა შეჩერებული არის თურმე, მაგრამ, რაკი დაიწყეს, შეასრულებენ კიდეც.

როგორც ს. ქარდანახი, აგრეთვე სხვა სოფლებიც საჭიროებენ სასოფლო პატარა გზებს და, იმედია, მაზრის უფროსი ყურადღებას მიაქცევს

---

— ღვთის მადლმა, მოხევეთ მტრის დახვედრაც ვიცით და ძმისაც.

ამ სიტყვებით ისინი გადაეხვივნენ და გულში ჩაიკრეს ერთმანეთი.

ციცია-კი მასპინძლებთან გაიქცა, რადგანაც საქრმო გამოაშკარაედა და მთიელთ ჩვეულებით-კი პატარძალს ხალხისა უნდა შერცხვენოდა.

### XXI

ერთს წუთში ამ შემთხვევაზედ ხმა გავრცელდა და ყველას სალაპარაკოდ გაუხდა. სულთი და ბექია-კი თავ-თავიანთ მასპინძლებმა და უფროსმა კაცებმა დეკანოზებთან წაიყვანეს, რათა ძმობილებს ფიცი დაედოთ.

დეკანოზებმა აილეს დროშები და ზარების წკრიალით ხალხის ყურადღება მიიქციეს.

როდესაც ხალხი შექუჩდა და მოწიწებით სმენას მიეცა, უფროსმა დეკანოზმა კიდევ დააწკრიალა დროშა და ხმა მაღლა დაიწყო ბექიას და სულთის ამბავი, რათა ყველას გაეგო, რაც მოხდა.

უკანასკნელი სიტყვები შეეხებოდა მათგან ძმად გაფიცვას და მოღალატის წყევას.

თუმცა დეკანოზმა გაათავა, მაგრამ ისევ იმ ადგილს იდგა, თითქოს რაღაცას ელოდა. მართლადაც, ხალხიდგან გამოვიდენ სულთი, ბექია და ორი მოხუცებული, მივიდენ დროშებთან და გაჩერდენ. აქ ერთმა მოხუცმა სულთის გადასცა პატარა მოკლე ჯოხი და დანა.

—- შდე დასდეთ. უთხრა იმან.

სულთიმ აილო დანა და ჯოხი და მიუბრუნდა ბექიას:

— ვინც მე და შენში ერთმანეთს უღალატოს, იყვეს ამ ხალხში შერცხვენილი და გაუწყრეს წმიდა «გივარგი».

ამ სიტყვებით იმან დააჭდია ჯოხზედ და გადასცა ბექიას, რომელმაც თითქმის სიტყვით სიტყვამდე ჩეჩნის ფიცი გაიმეორა და ამანაც დააჭდია ჯოხზედ. ეს იყო ფიცის საქვეყნოდ დამტკიცება, გადაწყვეტილებაზედ ბეჭდის დასმა, რომლის გატეხასაც იქაური მთიელი ასჯერ სიკვდილს ირჩევს.

ჯოხი მოწიწებით და მუხლის ყრით მიიტანეს ნიშთან და დროშის ძირს კედელში გაამაგრეს.

ხალხი აიშალა და მიეხვია სულთის და ბექიას, რომელთაც ახალს ნათესაობას ულოცავდენ და აქეთ-იქით ეპატიჟებოდენ, რომ თუ სადილით არა, თითო კათხა ლუდით, ან თითო ყანწი არაყით პატივი ეცათ.

ამ მხიარულებაში იყვნენ, როდესაც ერთი პატარა ბიჭი მოვარდა, გაძვრა ხალხში და სულთის ყურში რაღაც უთხრა.

— ვინაა? იკითხა სულთიმ.

— არ ვიცი, სახელს არ ამბობს... ეგეთი წვერიანი კაცია,—ბალღმა ხელები მიიტანა პირთან, თითქოს უნდოდა ენიშნებინა, მოსულს რა რიგი წვერი ჰქონდა.

სულთი გაჰყვა ბალღს, რომელმაც იქავ ახლო ტყეში შეიყვანა, სადაც ნაბადში გახვეული კაცი იდგა.

— სულთის გაუმარჯოს!—მისვლის უმალ დაუძახა უცნობმა და მოახლოვდა.

—გაგიმარჯოს!—უპასუხა სულთიმ დააცქერდა და ერთბაშად გაკვირვებით წამოიძახა:—თემურყო?! რა ამბავია?

— შენს მოსაკლავად მოდიან და გამოვეშურე, შემეტყობინებინა. აგერ ცხენი როგორ მოვკალ, გაიშვირა ცხენისკენ ხელი, რომელსაც წურწურით ოფლი გაზდიოდა.

— ვინა? იკითხა ჩეჩენმა.

— რა ვიცი, მტერი ბევრი გყავს.

— სად გაიგე?

— მე თითონა ვნახე.

— სადა?

— ორ გზით «ქოხში».

— სადაურები არიან?

— მოხევეა... ერთია, მაგრამ ბევრად ღირს.

— ელაპარაკე?

— ვეჩხუბე.

— მერე.

— დავჭერ.

— დასჭერ? დაფიქრდა სულთი, რადგანაც მოაგონდა, რომ ბექიას მარცხენა ხელი ჩამოკრული ჰქონდა.

— ჰო, დავჭერ... შენ გპირებდენ სიკვდილს და საით მოვითმენდით.

— ბექია თუ არ იყო?

— მგონია, ის იყო.

— მგონია-კი არა, ის იქნებოდა.

— ის იქნებოდა და დიდ-ხანს ვეღარც გამოდგება.

სულთიმ დაუწყო ყურება.

— ცხენი, ცხენი... გაიქნია ოსმა თავი,—ისე მოვკალ, რომ ვეღარცკი გამოდგება.

სულთიმ ვეღარ მოითმინა და მკლავში მაგრად წაავლო ხელი.

ცხენი-კი არა, შენს თავზედ იწუხე, შენს თავზედ... შენ დასჭერ ჩემი ძმათ ნაფიცი და სისხლი დაგემართა.

ოსი ამ სიტყვებზედ შეკრთა, უკან დაიწია, მაგრამ სულთის მაგრად ეჭირა, პირველსავე დაქნევაზედ დედამიწაზედ დაანარცხა.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ამ თვალ-საჩინო საჭიროებას, ალირსებს თავის მაზრის სოფლებს პატარა გზა-ტკეცილებს და მით გამოიხსნის, როგორც პირუტყვებს წვალებისაგან, აგრეთვე ხალხს აყრა-დაყრისა და ავად-მყოფობისაგან.


## განცხადებანი

კავკასიის აქეთა მხრის გზის გამგეობა.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—3)

სასტუმრო (გოსტინიცა)

,,იტალია"

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—27)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—65)

ინგლისური ჭრკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრა-ხელსახოცი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფენები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, სათვალები, ნაჩხები, კატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—19)

სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—26)

სომხის სასულიერო სემინარიის ნერსესიან

მზრუნველობის რჩევაში, 16-ს ამ ნოემბრისას საღამოს რვა საათზე იქნება ვაჭრობა განუმეორებლად იჯარით გაცემაზე იმ უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის ხსენებულს სემინარიას და შეწირულია განსვენებული არუთინ ოქოევისგან; ეს მამული მდებარებს რიყეზე № 49, პირობების წაკითხვა შეიძლება მზრუნველების კანცელიარიაში, გარდა კვირა და უქმე დღისა, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ შუადღის 12 საათამდინ. (3—2)

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

ГАЗЕТА

,,НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты—печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжных магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-აღმომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—65)



მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 10 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 9 კ. |

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.


Дозв. цензур. Тифлисъ, 7 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.